„ვამტკიცებ“

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

საქართველოს ჩემპიონატი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში

8, 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

27 - 30 სექტემბერი 2025 წ. ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. 20

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **ორგანიზატორები:**

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ქუთაისი".

2. **ღონისძიების მართვა:**

განსაკუთრებულ/გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. **ჩატარების ვადები და ადგილი:**

27.09-30.09. 2025 წ. ქ. ქუთაისი, მაია ჩიბურდანიძის სახელობის ჭადრაკის სკოლა, თაბუკაშვილის ქ. 20.

4. **მონაწილენი:**

4.1. ტურნირებში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრებს:

- 8 წლამდე - 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 10 წლამდე - 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 12 წლამდე - 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 14 წლამდე - 2011 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 16 წლამდე - 2009 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 18 წლამდე - 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;

4.2. ყველა მონაწილეს უნდა ქონდეს გადახდილი 2025 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე.

ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/ZGdjH68jACZ7R5v28

შეცდომით ჩარიცხული თანხა უკან არ ბრუნდება.

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

5. **სისტემა და კვალიფიკაცია:**

- ტურნირი სწრაფ ჭადრაკში ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
- ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
- დაითვლება ფიდეს რეიტინგი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში.

6. **დროის კონტროლი:**

სწრაფ ჭადრაკში - ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 15 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 3 წამის დამატებით.

ელვისებურ ჭადრაკში - ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 3 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 2 წამის დამატებით.

7. **რეგისტრაცია და საწევრო შესატანი:**

7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა:

სწრაფ ჭადრაკში - https://forms.gle/mtX1RiGZ66MGc4N29

ელვისებურ ჭადრაკში - https://forms.gle/jfhoa6mV1z9D3Ctd8

ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) დაბადების მოწმობის ასლი; 2) ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი

"ქუთაისი" საბანკო ანგარიშზე ტურნირის საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი;

რეგისტრაციის ბოლო ვადაა:

სწრაფ ჭადრაკში - 2025 წლის 25 სექტემბრის 18:00 სათი.

ელვისებურ ჭადრაკში - 2025 წლის 28 სექტემბრის 18:00 სათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

7.2. თითოეული მონაწილის ტურნირის საწევრო შესატანია - 30 ლარი სწრაფ ჭადრაკში, 25 ლარი ელვისებურ ჭადრაკში.

7.3. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან საწევრო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

7.4. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში საწევრო შესატანია სწრაფ ჭადრაკში 60 ლარი, ელვისებურ ჭადრაკში 50 ლარი.

7.5. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ქუთაისი". საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE63BG0000000576120700**. ბანკის კოდი BAGAGE22

8. თაი- ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

9. ტურნირის განრიგი:

სწრაფ ჭადრაკში:

ტური	რიცხვი	8, 12 და 16 წლამდე	10, 14 და 18 წლამდე
ჩამოსვლის დღე	27 სექტემბერი		
გახსნა	28 სექტემბერი	09:45	14:45
I ტური	28 სექტემბერი	10:00	15:00
II ტური	28 სექტემბერი	11:00	16:00
III ტური	28 სექტემბერი	12:00	17:00
IVტური	28 სექტემბერი	13:00	18:00
Vტური	29 სექტემბერი	10:00	15:00
VI ტური	29 სექტემბერი	11:00	16:00
VII ტური	29 სექტემბერი	12:00	17:00
VIII ტური	29 სექტემბერი	13:00	18:00
IX ტური	29 სექტემბერი	14:00	19:00
დახურვა	30 სექტემბერი	20:00	20:00

ელვისებურ ჭადრაკში:

ტური	რიცხვი	8, 12 და 16 წლამდე	10, 14 და 18 წლამდე
გახსნა	30 სექტემბერი	09:45	14:45
I ტური	30 სექტემბერი	10:00	15:00
II ტური	30 სექტემბერი	10:30	15:30

III ტური	30 სექტემბერი	11:00	16:00
IVტური	30 სექტემბერი	11:30	16:30
Vტური	30 სექტემბერი	12:00	17:00
VI ტური	30 სექტემბერი	12:30	17:30
VII ტური	30 სექტემბერი	13:00	18:00
VIII ტური	30 სექტემბერი	13:30	18:30
IX ტური	30 სექტემბერი	14:00	19:00
დახურვა	30 სექტემბერი	20:00	20:00

10. **გამარჯვებულები:**

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით .
- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.

11. **საერთო წესები:**

- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.
  მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ქუთაისი" საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

12. **სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:**

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

13. **სასტუმრო:**

სასტუმრო ''იმერი'' (მისამართი - ქუთაისი, ნიკეას ქ. 25):
ერთ ადგილიანი ნომერი კვების გარეშე – 1 პერსონა – 40 ლარი;
ორ ადგილიანი ნომერი კვების გარეშე – 1 პერსონა – 30 ლარი;
ერთ ადგილიანი ნომერი საუზმით – 1 პერსონა – 50 ლარი;
ორ ადგილიანი ნომერი საუზმით - 1 პერსონა – 40 ლარი;
ერთ ადგილიანი ნომერი სამჯერადი კვებით – 1 პერსონა – 100 ლარი;
ორ ადგილიანი ნომერი სამჯერადი კვებით – 1 პერსონა – 90 ლარი;
საკონტაქტო ტელ: 595 04–95–55;

კერძო სასტუმრო ''მწვანე სახლი'' (მისამართი - ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. 82):
ერთ ადგილიანი ნომერი კვების გარეშე – 1 პერსონა – 55 ლარი;
ორ ადგილიანი ნომერი კვების გარეშე – 1 პერსონა – 35 ლარი;
საკონტაქტო ტელ: 595 58–82–21.

კერძო სექტორი: 1 პერსონა 25–35 ლარი (კვების გარეშე).

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - ალექსანდრე არსენიძე

ორგანიზატორთა საკონტაქტო ტელეფონი - 599 92–96–87.